# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—შაბათი, 30 სექტემბერი 1900 წ. № 1254

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალს ალექსეევს ებოძა ბრილიანტებით შემკული ოქროს ხმალი.

ოფიციალურად. ჩვენი ჯარები გავიდნენ პეკინიდან ტიანძინში სამ რაზმად დაყოფილნი. დანარჩენი ჯარები 14 სექტემბერს უნდა წავიდნენ პეკინიდან. პეკინში რჩება საპიორთა რაზმი რკინის გზის შესაკეთებლად და ერთი ბატალიონი მეხუთე პოლკისა ორი ზარბაზნით სასახლეების დასაცველად და რკინის გზის დასაფარავად.

16 სექტემბერს გენერალი ლენევიჩი შტაბითურთ მოვიდა ტიანძინში. დამატებითი ცნობებიდან სჩანს, რომ 13 სექტემბერს გენერალ სუბბოტიჩის რაზმმა იერიში მიიტანა ანშანჯანის სიმაგრეებზე მყოფ ჩინელ ჯარზე და უკუაქცია იგი. ანშანჯანი დაიჭირეს რუსებმა.

**ჰონკონგი.** სამშუიდან იტყობინებიან: სად არიან აჯანყებულნი, არავინ იცის. ჰფიქრობენ, რომ იმათ უჭირავთ ორი პოზიცია ინგლისელების საზღვრის ჩრდილოეთით 10 მილის დაშორებით. გუშინ 1000 ჯარის კაცი მივიდა სამშუიში; დღეს კიდევ მოელიან ათას კაცსა. ინგლისელთა ჯარი კიდევ 10 ათასი გაიგზავნება ჰონკონგში. ბენგალის ულანთა მე-16 პოლკი და ჰონკონგის პოლკი გამოწვეულ იქმნენ აქ. ყველა ჯარები, რომელნიც გამოგზავნილი არიან ჩრდილოეთიდან, თვის დამლევამდე მოვლენ აქ. როგორც ისმის, მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ საყოველთაო ამბოხება სამხრეთ პროვინციებში ნოემბერში მოხდება.

საფრანგეთის სამხედრო გემი „პეიხე“ და იაპონიის „ასახი“ მოვიდნენ აქ.

**ვაშინგტონი.** დღეს საფრანგეთის საელჩოს მდივანს გადაეცა ფორმალური ნოტა, რომლითაც ამერიკა პასუხს იძლევა საფრანგეთის ნოტაზე. ჩინელთა ამბოხების მეთაურთა დასჯის შესახებ ამერიკამ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი. ამერიკა საჭიროდ არ სცნობს, რომ შემდეგი დიპლომატიური მოლაპარაკება დამოკიდებული იყოს ჩინეთში იარაღის შეტანის ვადის გაგრძელებაზე. საფრანგეთის წინადადებას კანონიერ დაკმაყოფილებისა და მუდმივი სადარაჯო რაზმის პეკინში დატოვების შესახებ ამერიკა სიამოვნებით ღებულობს. რაც შეეხება ტაკუს სიმაგრეების დანგრევას, ამერიკის მთავრობას ამის შესახებ მოლაპარაკების დაწყება არ ჰსურს.

**პეკინი.** დღეს გამოვიდა იმპერატორის ბრძანება, რომლითაც დასჯილ უნდა იქმნან სიკვდილით დაუყოვნებლივ კან-ი, ჩჟაო-ჩუჩჟაო და სხვა მანდარინები, რომელთაც ჰბრალდებათ „დიდი მუშტი“-ს წაქეზება აჯანყებისათვის. პრინცი ტუანი უნდა გაგზავნილ იქმნას სამუშაოდ საფოსტო გზებზედ კაშგარიაში; პრინცი იიხი და ჰერცოგი ძეილანი სამუდამოდ უნდა დაპატიმრებულ იქმნან.

საფრანგეთის რაზმი, რომელიც ლიან-ხუსიანში იდგა, ხუთშაბათს წავა ფანჯოუსაკენ.

**ვაშინგტონი.** პეკინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ის ჩინელი მოხელენი, რომლებზედაც გერმანიამ მიუთითა, როგორც დასასჯელებზედ, აღნიშნულნი არიან აგრეთვე, როგორც სასჯელის ღირსნი, ყველა სახელმწიფოთა ელჩებისაგან. ისინი ჩამოთვლილი ჰყავდა აგრეთვე კონჯერსაც სხვებთან ერთად, რომელთა სახელებიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული; მათი რიცხვი თორმეტამდეა.

**ტიან-ძინი.** გერმანელებმა ბრძანება მიიღეს დაიჭირონ რკინის გზა პეკინიდან იანცზუნამდე. გზის დანარჩენი ნაწილი დაიჭირეს რუსებმა. ინგლისელების ჯარს ნება მიეცათ მხოლოდ დაიცვან ნავთსადგური ცზინ-ვანდაო.

**ტიანძინი.** დღეს 800 ფრანგი ექვსის ზარბაზნით გაემგზავრა იმ ფრანგთა მისსიონერების გასანთავისუფლებლად, რომელნიც ტყვედ არიან ცზინ-ხაი-სიანში.

შაბათს წავიდა პაოტინფუსკენ 300 ფრანგი, რომელნიც უნდა შეუერთდნენ პეკინიდან გაგზავნილ 400 კაცს. რაზმი, რომელიც აღემატება 4000 კაცს, დატოვებულ იქმნა პეკინში. პაოტინფუზე გალაშქრება, ალბად, აღარ მოხდება.

ვალდერზეე რამდენისამე დღის შემდეგ პეკინში მიდის.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება პრეტორიიდან, რომ კააპმიუნდენთან მდინარეზე გადასვლის დროს ბურებმა მოჰკლეს ერთი ინგლისელი; კააპის მდინარეზე არსებულ ხიდზე ბურებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მატარებელი. სამი ინგლისელი მოკლულ იქმნა, 1 ოფიცერი და 15 ჯარის-კაცი დასახიჩრდა. როდესაც გენერალი პეჯეტი 18 ჯარის-კაცით და ორის ინჟენერ-ოფიცრით მივიდა რკინის გზასთან ამბის შესატყობად, იმათ ჩასაფრებულმა ბურებმა თოფები დაუშინეს. კაპიტანი სტიუარტი, როდესაც გაიგონა თოფის ხმა, გაეშურა 40 ჯარის-კაცით მისაშველებლად. მეტად დიდი ზარალი მოგვივიდა. სტიუარტი და ერთი ჯარის-კაცი მოკლულ იქმნენ. გენერალი პეჯეტი, მეორე ოფიცერი და 5 ჯარის-კაცი სასიკვდილოდ იქმნენ დაჭრილნი; ერთი ინჟენერ-ოფიცერი და 10 ჯარის-კაცი ტყვედ იქმნენ წაყვანილნი.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« როგორც თან და თან გამოირკვა, ჯერ კიდევ ამ წლის გაზაფხულს ჩინეთის მთავრობის წარჩინებულნი წარმომადგენელნი ამზადებდნენ აჯანყებას. ამ წარჩინებულთ მეთაურობდა მინისტრი კანგ-ი. მათ მთელი და კარგად მომზადებული გეგმაც ჰქონიათ. კანგ-იმ ურჩია იმპერატორს უბრძანოს ყველა პროვინციების გენერალ-გუბერნატორებს — გამოგზავნონ თავისი უკეთესი ჯარები პეკინში საერთო აღლუმში მონაწილეობის მიღებისათვის. ნამდვილად-კი შეთქმულთ განზრახვა ჰქონდათ ჩინეთის საუკეთესო ჯარები მოეგროვებინათ პეკინთან. შემდეგ ყველა საზღვრებზედ უნდა დაეტოვებინათ მძლავრი რაზმები, ევროპიულად შეიარაღებულნი. ივლისში ყველგან უნდა მომხდარიყო აჯანყება მოკრივეთა თანხმობით და მათ მხარს მისცემდნენ როგორც საზღვრებზე მდგომარე ჯარები, ისე პეკინთან შეგროვილი მხედრობა. ეს მოხერხებული გეგმა ვერ აღსრულდა. პროვინციის მმართველებმა, უმთავრესად სამხრეთ პროვინციების, არ გაგზავნეს პეკინში თავისი ჯარები, რადგანაც უნდობლად უყურებდნენ ცენტრალურ მთავრობის მოქმედებასა და შიშობდნენ. მეორეს მხრით, მოკრივეები აჩქარდნენ — დანიშნულ ვადამდე აჯანყდნენ, მთავრობა კი არ იყო ჯერ ამისათვის მომზადებული. კანგ-ისა და მის თანამშრომლების გეგმა რომ განხორციელებულიყო, ახლა მთელი ჩინეთის ერი შეიარაღებული იქმნებოდა და აჯანყება ყველა მხარეებს მოედებოდა, რადგანაც გენერალ-გუბერნატორები უჯაროდ ვერ შესძლებდნენ წესიერების დაცვასა და ვერ დაიფარავდნენ ხალხს წამქეზებელთაგან. ამ რიგად შეთქმულება ვერ განხორციელდა გენერალ-გუბერნატორების წყალობით. ამათში ყველაზედ მეტი ამაგი მიუძღვის ჩანგ-ჩი-ტონგს, რომელმაც აჯანყების დაწყებისათანავე ხელში ჩაიგდო ტელეგრაფი და თავის დეპეშებით დააჯერა პროვინციების მმართველნი წესიერების დაცვის საჭიროებაში და მოკრივეთა წინააღმდეგ მოქმედებაში. სამხრეთ პროვინციების მეფის მოადგილეები მტკიცედ და ენერგიულად შეუდგნენ უცხოელთა დაცვის საქმეს და მათ სამფლობელოებში წესიერება არ დარღვეულა; აჯანყება ამიტომ მოედო მხოლოდ ჩრდილოეთ პროვინციებს. სამხრეთის მეფის მოადგილენი ახლაც მშვიდობიანად არიან და ამბობენ, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამხედრდებიან უცხოელთა წინააღმდეგ, თუ 1) უცხოელები მოინდომებენ იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდებას, 2) თუ უცხოელები მოინდომებენ დიდ ტერიტორიების დასაკუთრებას და 3) თუ უცხოელები მოინდომებენ მეფის მოადგილეთა უფლებების შეზღუდვას.

« ბურების მისსიის ერთ წევრს, ფიშერს, უთქვამს ერთ კორრესპონდენტისათვის, რომ ბურები სრულიადაც არ სთვლიან ომს გათავებულად. ინგლისელებს შეუძლიანთ წა-

გვართვან მიწა წყალი, მაგრამ ერი მაინც დარჩება და იარაღს არ გააგდებს ხელიდან არასოდესაო. ჩვენ, სთქვა ფიშერმა, უწინ ინგლისელებს გვთვლიდით პატიოსან, კეთილშობილ და კაცთა-მოყვარულ ერადაო, ეხლაკი დავრწმუნდით, რომ ისინი გაუტანელი, უპატიოსნო და სიბრალულის არ-მქონე ერი ყოფილა; ამიტომაც ვერ მოვითმენთ მათ ბატონებას და საუკუნოდ მის მტრად გადავიქცევითო. აგრეთვე ულაპარაკნია კორრესპონდენტთან ბურების მეორე დელეგატს—ვოლმარანსს.

∝ გათავდა თუ არა სამხრეთ-აფრიკის ომი? ეს საკითხი ბევრს აინტერესებს დღეს, და ყველანი, ინგლისელების გარდა, ერთხმად ამბობენ, ომი ჯერ არ დასრულებულაო. საფრანგეთის გავლენიან გაზეთი «ტან» ამის შესახებ სწერს: «სამხრეთ-აფრიკიდან მოსული დეპეშები ამ უკანასკნელ დღეებში იტყობინებიან, რომ იქ ამ მოკლე ხანში რამდენიმე შეტაკება მოუხდათ ბურებსა და ინგლისელებს. ინგლისის გაზეთები ბევრს ყვირიან იმის შესახებ, რომ «სამხრეთ-აფრიკიდან ინგლისმა უკვე გამოიწვია ჯარები ომის დასრულების ნიშნადაო.» მაგრამ საქმე ის არის, რომ ინგლისმა მალიან მცირე რიცხოვანი რაზმები გაიწვია და ისიც ცუდათ მომზადებული, როგორც მაგალითად განადელთა ბატალიონი ან ლონდონის ვოლონტერთა რაზმი. მეორეს მხრით, ინგლისის გაზეთები არას ამბობენ იმის შესახებ, რომ ჯერაც არ შეუწყვეტიათ დამხმარებელ რაზმების გზავნა სამხრეთ-აფრიკაში. უკანასკნელად 19 სქტემბერს მივიდა სამხრეთ-აფრიკაში ინგლისელი რაზმი. ის გარემოება, რომ ბურები ამ დღეებში თავს დაესხნენ ინგლისელთ ბლოკჰაუზერთან, ნატალის საზღვარზე, ნათლად გვიჩვენებს, რომ ინგლისელთა კვეხნა—ბურების ქვეყანა ჩვენს ხელშიაო—სრულიად მოკლებულია სიმართლეს. ინგლისურმა გაზეთებმა დიდის ამბით ამცნეს მთელს ქვეყანას, რომ რობერტსიც მიდის ტრანსვაალიდანაო, რადგანაც «საქმე გათავდაო», მაგრამ რობერტსს დღესაც ვერ გადუწყვეტია, როდის შეუძლია წავიდეს ინგლისში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩქარა მისვლა ლონდონში მალიან საჭიროა მთავრობისათვის».

∝ როგორც სჩანს უკანასკნელ ცნობებიდან, ინგლისის საპარლამენტო არჩევნები გათავდება კონსერვატორების გამარჯვებით და ლიბერალთა საგრძნობელ დამარცხებით. ჯერ ჯერობით მთავრობის პარტიის წევრებთაგან არჩეულია 321 კანდიდატი—ოპოზიციისა—155; ასე რომ კონსერვატორებმა შეიძინეს 23 ახალი ადგილი, ლიბერალებმა-კი-17. ხელმეორედ უნდა იყაროს კენჭი 194 კაცმა. თუ ისე წავიდა არჩევნების საქმე, როგორც დღემდის, მაშინ მომავალ პარლამენტში კონსერვატორებს 150 კაცით მეტი ეყოლებათ ლიბერალებზე და სხვა პარტიების წევრებზე. ეს იქმნება საშინელი დამარცხება ლიბერალურ ოპოზიციისა. ყოველ შემთხვევაში ჯერ არჩევნების შესახებ გადაჭრილის აზრის თქმა შეუძლებელია, რადგანაც ზოგიერთ ადგილას ოპოზიციის წევრნი დიდის უმრავლესობით იქმნენ არჩეულნი, მიუხედავად ყოველგვარის ზომებისა, რომელიც მთავრობამ მიიღო.

# ახალი ამბავი

✦ პარიზიდან გვწერენ, რომ პატრს მიხეილ თამარაშვილს, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია რომის არქივებში საქართველოს და კერძოდ ქართველ კათოლიკების ისტორიულ მასალებს ეძებს, აღმოუჩენია **რამდენიმე წერილი** ჩვენის ლექსიკოგრაფის **საბა-სულხან ორბელიანისა** და მრავალი წერილები საქართველოს მეფეთა. ამ ჟამად მამა მიხეილი პარიზის ნაციონალურ წიგნთსაცავში მუშაობს იმავე აზრით. ჩვენ შემთხვევა გვქონდა, გვწერს კორესპონდენტი, გვენახა ნაშრომი მამა მიხეილისა. როცა დაიბეჭდება, ორი მოზრდილი ტანის ტომი გამოვა. სასურველია, ჩვენი საზოგადოება დროითვე შეუდგეს იმის ზრუნვას, თუ რა ფულით უნდა გამოიცეს ეს კაპიტალური შრომა, რადგან ერთ კაცისათვის ძნელია მისს ხარჯს გაუძლოს.

✦ როგორც გვატყობინებენ, პარიზის მსოფლიო გამოფენაზე თავის ექსპონატებისათვის დაუჯილდოვებიათ ოქროს მედლით დაგ. **ზ. სარაჯიშვილი** მაგარ სასმელებისათვის და ტფილისის მოვაჭრე (ოლგის ქუჩაზე) **ნიკოლოზ სუსიაშვილი** ვერცხლის მედლით კახურ ღვინოებისათვის.

✦ დღეს, 30 სექტემბერს, საღამოს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრთა და მიპატიჟებულ პირთა დასწრებით გაიმართება გამოსაცდელი წარმოდგენა ახალგაზდა არტისტებისთვის.

✦ ჩვენთა ექიმთა მცირე გუნდს ტფილისში ერთი **ქართველი ქალი ექიმიც** ემატება. შარშან პარიზის უნივერსიტეტი დაამთავრა მარიამ ბაქარაძისამ, მერე იმავე წლის შემოდგომაზე მოსკოვში სახელმწიფო ეგზამენი დაიჭირა. იქიდან ისევ პარიზში დაბრუნდა აქაურს საავადმყოფოებში სამეცადინოდ. ამ ორს კვირაში ქ-ნი ბაქრაძისა უკვე მიემგზავრება სამშობლოში.

✦ პარიზში ამ ჟამად იბეჭდება ფრანგულს ენაზე **მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა**, შედგენილი პროფესორის ალ. ხახანაშვილის მიერ. ამ წიგნს ჩართული აქვს პარიზში ამოჭრილი სურათები ჩვენთა ისტორიულთა პირთა და აგრეთვე თანამედროვე მწერლებისა. განზრახული იყო დაბეჭდილიყო აგრეთვე აღწერა ჩვენებურის სახალხო ექიმობისა, მუსიკისა და კანონმდებლობისა, მაგრამ სხვა-დასხვა მიზეზთა გამო ეს სამივე განყოფილება მეორე წიგნში იქმნება მოთავსებული, რომელიც მომავალ წელს უნდა დაიბეჭდოს.

✦ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის მმართველად ბ ნ გოლეოვის ნაცვლად სათანადო მთავრობისაგან დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს საქმის მწარმოებელი ბ-ნი შულგინი.

✦ ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრებულს, რომელმაც განიხილა ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა ბ-ნთ ალიბეგოვისა და ყორღანოვის განცხადება ამ გზის ბელგიის უსახელო საზოგადოებაზე გადაცემის შესახებ. კრებამ დაადგინა დაწერილებითი ცნობები მოსთხოვოს კონცესიონერებს, თუ რა პირობით უნდათ გადასცენ გზა უსახელო საზოგადოებას და ამასთანავე შეატყობინონ გამგეობას დაახლოვებით რამდენი შემოსავალი ექმნება ქალაქს ამ გზისაგან უსახელო საზოგადოებაზე გადაცემის შემდეგ.

✦ ჩვენ მოგვიდა დასაბეჭდად შემდეგი **ანგარიში** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 28 და 29 მაისს ამა წლისა მუშტაიდში გამართულ სახალხო სეირნობის და ბაზრობის შემოსავალ-გასავლისა.

**შემოვიდა**: შესავლის ბილეთების გაყიდვით 1050 მან., ნივთების გაყიდვით 1897 მან. 6 კაპ., კონფეტის, სათამაშოების და ფონოგრაფის შემოსავალი 270 მან. და შემოწირულებანი 314 მან., სულ 3531 მან. 64 კაპ.

**დაიხარჯა**: ნივთების შეძენასა და დამზადებაზე 1026 მან. 05 კაპ., მუზიკის ორს ხოროზე 110 მან., ზურნაზე 10 მან., განათებაზე 45 მ., განცხადებასა და აფიშებზე 68 მან. 30 კაპ., მარკებზე 90 მან., ფონოგრაფსა და სათამაშოებზე 34 მან., პოლიციელების საჩუქარზე 40 მან., ბაღის ქირა 100 მან. და სხვ. 85 მ. 45 კ. სულ 1608 მან. 80 კაპ.

**დარჩა** წმინდა შემოსავალი 1922 მან. და 84 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს გამოუცხადოს ულრმესი მადლობა ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა სეირნობისა და ბაზრის გამართვაში ნივთებისა და ფულის შემოწირვით, გაზეთებში უფასოდ განცხადებათა დაბეჭდვით და პირადის შრომით.

✦ გაზ. „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ოჩემჩირედან: 27 სექტემბერს სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა **მინისტრი ა. ს. ერმოლოვი** დაბრუნდა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის სამადნო რაიონიდან და გემით წავიდა სოჩში. ტყვარჩელში მინისტრმა დაწვრილებით დაათვალიერა მუშაობა ბუტმისა რაბინოვიჩის მადნებში. შემდეგ იგი დაესწრო მადნების პირველ გვირაბის კურთხევასა და გახსნას; გვირაბს, მინისტრის ნებართვით, სახელად ეწოდება „ერმოლოვის“ გვირაბი. პირველის გვირაბის კურთხევა, რომლით იწყება მდიდარი მრეწველობა, მინისტრმა დეპეშით მიულოცა კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს. კურთხევის შემდეგ მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა მადნების სიმდიდრე და ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კარგი თვისება; შემდეგ მინისტრმა აზრი გამოსთქვა, რომ რკინის გზის გაყვანა ოჩემჩირემდე არ წარმოადგენს ტეხნიკურ სიძნელესაო. მინისტრმა აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ახალის მრეწველობისა, ნამეტურ ეხლა, როდესაც ქვა-ნახშირი ყველგან ნაკლებად არის და მოთხოვნილება კი დიდი. ახალი მრეწველობა გავლენას იქონიებს არა მარტო კავკასიის სამეტალურგიო მრეწველობაზე, არამედ მთელის იმპერიის ეკონომიურს ცხოვრებაზეო. თავისი სიტყვა ერმოლოვმა დააბოლოვა იმით, რომ წარმატება გამარჯვება უსურვა ახალს საქმეს. ოჩემჩირეში მინისტრმა დაათვალიერა ზღვის ნაპირას ის ადგილი, რომელიც ბუტმის კამპანიამ შეიძინა ნავთსადგურის გაკეთებისათვის. განზრახულია დიდის ნავთსადგურის გაკეთება, სადაც ექვს დიდს გემს შეეძლოს შემოსვლა. მინისტრმა განიხილა გეგმა და შემდეგ წავიდა სოჩში გემით „დიდი მთავარი კონსტანტინე“-თი.

✦ დღეს, 30 სექტემბერს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში დანი-

შნულია სხდომა საქალაქო სკოლების გამგე კომისიისა, რომელზედაც უნდა აირჩიონ თავმჯდომარეები ორის ახალის კომისიებისა: ერთისა, რომელსაც მინდობილი აქვს ავლაბარზე სამრეწველო სასწავლებლის გახსნის საკითხი და მეორესი,—რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა საკითხისა ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ.

✦ კავკასიის სამთო მმართველობის უფროსი მ. ა. შოსტაკი, რომელიც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის შესახვედრად იყო ოჩემჩირეში, უკვე დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თავისს მოვალეობათა ასრულებას.

✦ 1 სექტემბრიდან 28-მდე ტფილისში სულ 23 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; მათგან ქუნთრუშით—8 კაცი, კუჭის სახადით—7, დიფტერიტით—4, მუცლით—1, ქოთაოთი—1, წითელი-ქარით—1 და ყელ-ჭირვებით—1 კაცი.

✦ როგორც სჩანს ოფიციალურ ცნობებიდან, ბორჩალოს მაზრის სოფელ ეკატერინენფელდში კუჭის სახადი და მუცლის გაჩენილა.

✦ შავი ზღვის ნაპირად არსებული მშვენიერი ტყეები უმოწყალოდ იჩეხება. ამ გარემოებაზედ რამდენჯერმე იყო მიქცეული ყურადღება ვისიც ჯერ არს, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. ეხლა, როგორც „პრიაზოვსკი კრაი“ იტყობინება, უმაღლეს მმართველობას ზომები მიუღია, რათა შეჩერებულ იქმნას ტყეების უწესრიგოდ გაჩეხვა გელენჯიკისა და კაბარდინკას მიდამოებში.

✦ გუშინ პეტერბურგს წავიდნენ: ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი ბ-ნი ვედენეევი, ამავე გზების სამმართველოს საბჭოს წევრი ბ-ნი დემბსკი და უფროსი კონტროლიორი ბ-ნი ვლადიმიროვი. ეს პირები გზათა სამინისტრომ გაიწვია პეტერბურგს, რათა მონაწილეობა მიიღონ სხდომებში, რომლებზედაც უნდა გაირჩეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ სიღნაღის მაზრის შირაქის საბალახოების გასამიჯნავად და სახაზინო ადგილების ცნობაში მოსაყვანად იქ გაიგზავნა გამმიჯვნელი კომისია, რომელიც შესდგება: ბ. სეიბიცკისაგან (კომისიის თავმჯდომარე), ბ. შრედერისაგან (უფროსი ტოპოგრაფი), ბ. ზედგინიძისაგან (ტოპოგრაფი) და ბ. კულიჯანოვისაგან (უფროსი გამმიჯნელი).

✦ საქალაქო ინჟინერად, ბ-ნ ალაბეგოვის მაგიერ, ტფილისის ქალაქის გამგეობას მოუწვევია ინჟ. ტ. ა. ენფიანჯიანცი, რომელიც წინედ 6 წელიწადს ასრულებდა ამავე თანამდებობას.

✦ 2 ოქტომბერს ახალქალაქში დაიწყება მოლვაწეობა ტფ. საოლქო სასამართლოს განყოფილებისა სასამართლოს წევრის ე. ვ. ჩემესოვის თამჯდომარეობით. განყოფილების სხდომები გაგრძელდება 7 ოქტომბრამდე.

✦ როგორც „ნოვოე ობოზრენიე“-ს სწერენ, წელს ბორჩალოს მაზრაში ცუდი მოსავალია. სულ დესეტინაზე მოვიდა 25—30 ფუთი ხორბალი, ჩვეულებრივ 50—60 ფუთის მაგიერ. კარტოფილი სრულიად დალპა. ვენახები გაფუჭდა, ნამეტურ ისინი, რომელთათვისაც არ უწამლიათ. ღვინის ფასებმა აიწია: ვედრო იყიდება 2 მანეთ.—2 მან. 50 კაპ., ჩვეულებრივი 1 მან. 20 კაპ.—1 მ. 50 კაპ.-ის მაგიერ. მცხოვრებთ შიმშილობა მოელით; ადგილობრივი ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რომ გადაიდვას გადასახადებისა და ნედოიმკების გადახდევინების ვადა რამდენიმე წლით.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად აღძრულია კითხვა ტყის მცველთა უფლებების გაფართოების შესახებ.

✦ იგივე სამინისტრო იხილავს ამ ჟამად პროექტს პეტერბურგში სარძეო მეურნეობის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ინსტიტუტის გამგედ, როგორც ამბობენ, იქნება ავ. ი. ქალანთარი.

✦ ამ მოკლე ხანში ტფილისის თავად-აზნაურთა თეატრში გაიხსნება რუსული დრამატიული წარმოდგენების სეზონი. იმოღვაწებს საიმპერატორო თეატრების არტისტის მ. ვ. დალსკის დასი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ქ-ბ. ბ.—რაბინოვსკაია, შადრინა, მანდშტეინ, დუბროვსკაია, სამარსკაია, ტუმანოვა, ჩეჩინა, დონეცკაია; ბ. ბ. დალსკი, ბოროზდინი, ჩეჩინი, კარლსჩალოვი, სამარსკი და სხვები.

## საღამოს დეპეშები

### 29 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ადმირალი ალექსეევის დეპეშა: „18 სექტემბერს, დილის 4 საათზე, გემი „კორეეცი“ და ხუთი ნაღმიანი ნავი წავიდნენ, კაპიტანის ბოისმანის უფროსობით, შანჰაიგუანში. 19 სექტემბერს ნაღმოსანი ნავი № 207, ლეიტენანტის ბახმეტიევის უფროსობით, მანქანის გაფუჭების გამო შეჩერდა. ამას დაეჯახა ნაღმოსანი ნავი № 204, რომელსაც უფროსობდა რიხტერი; ნავის სამანქანო განყოფილება აივსო წყლით, გაფუჭებული ადგილი დააკავშირეს; რადგანაც ზღვა მეტად ჰღელავდა, ნავის ოფიცრები და ჯარის კაცნი გადაყვანილ იქმნენ № 206-ზედ. გაფუჭებული ნავი № 207 გამოუბეს „კორეეც“-ს, მაგრამ ჯაჭვი გაწყდა და № 207 დაიძირა 16 საჟენის სიღრმეზე, ნაპირიდან 35 მილის მოშორებით. № 204 ცოტათი დაზიანდა; დაღუპვით არავინ დაღუპულა, მხოლოდ სამი კაცია მსუბუქად დაჭრილი.

**გლაზგო.** დღევანდლამდე გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ შავი ჭირი მოისპო; უკანასკნელი ავადმყოფი, რომელსაც თვალყურს ადევნებდნენ, დღეს გაანთავისუფლეს საავადმყოფოდან. საკარანტინო შენობანი დახურულ იქნებიან. ოცი კაცი, რომელნიც საავადმყოფოში იმყოფებიან, კარგად არიან. უკანასკნელად, როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, ერთი კაცი გახდა ავად სამი კვირის წინად.

**ტიანძინი.** ვალდერზეემ ბრძანება მისცა ჯარს პაოტინფუსაკენ გალაშქრების შესახებ.

**პეტერბურგის ბირჟა 27 სექტემბ.**

| | მყიდველნი. | გამყიდველნი | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა.... | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.. | — | 96⅞ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 333¾ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 285 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა ..... | — | — | 214¾ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა.. | — | 88¼ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 95½ | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა .... | — | — | 85⅞ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. ... | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 96½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ... | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.... | — | 86½ | — |

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი წიგნანი

### ნიხრი

ხორცი ძროხისს . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა . » » — 5 კ.
» ღორის ხორცი საღორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—ლამლა).
პური ფქვილისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯვ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდანზე: კუკიაზე:

| | | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 კაპ. | | |
| ქერი . . . . . | 1 | —მ. | —70 კ. | | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | —65— | | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | —20— | | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 5110— | | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 50—— | | |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 55—— | | |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 30—— | | |
| თივა . . . . . | 1 | — | 25—— | | |
| ბზე. . . . . . | 1 | — | 23—— | | |


## განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.

ურბნელი ნ. მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღა-მამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭაჲრი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ღნიაშვილი ვლ. «ბან», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე. რეინეკე კუდა-მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები ვეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი ძაღლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მძური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამაანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მამიებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.

გოგებაშვილი ი. დედა-ენა უდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, ყდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— Русское слово ნაწ. 1 ყდ. 40 კ.
— Русское слово ნაწ. II ყდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ზანგჯელიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუმანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ციხე. თარგ. 5 კ.
ნხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაბოლარა ფ. «ივერია» და «მეველე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-ე XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— ვ. ორბელიანი. 20 კ.
— ტულუკაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. მირითადი უკუღმართობა. 20 კ.

სოლომონ მაჯუღლი, გლოვა ირაკლი მეორისა. 5 კ.
ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.
ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.
— მარაბდა, პოემა. 20 კ.
— წყალობა, პოემა. 20 კ.
— მაცი ხვიტია, რომანი. 40 კ.
— ავაზაკნი. 30 კ.
— სამი პოემა. 40 კ.
— შოთა და მისი ცოლი 10 კ.
ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.
ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.
ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.
შექსპირი. ოტელო. 50 კ.
— მაკბეტი. 40 კ.
— რიჩარდ მესამე. 40 კ.
— იულიოს კეისარი. 30 კ.
შილლერი. ვილჰემ ტელი. 15 კ.
ცაბელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.
— გურგენ რაინდი, პოემა 30 კ.
ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.
აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.
— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.
— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.
წერეთელი გ. ლომ-კაცი პოემა. 60 კ.
წითლიძე ა. ძმა ძმის მტერი. 10 კ.
წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.
ჰონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.
ჭიჭინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.
ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.
ჯიაკომეტი. ივდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სასელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.
რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

ეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.
მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.
დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.
ტარუაშვილი გოტიკური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.
— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.
— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.
— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.
— რუსთაველი შოთა. 20 კ.
— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.
— მეფე ერეკლე. 20 კ.
— იგ. კარგ ქაღალდზე. 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

გამომც. გ. გუნია